საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გია ბერაიას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	2	5
ქულათა ჯამი	83	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გია ბერაიას

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. გია ბერაიას კოლეგები ახასიათებენ როგორც პატიოსან და კეთილსინდისიერ პიროვნებას, რომელსაც ახასიათებს სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა სახის ვალდებულებების შესრულებისას.

კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატს დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა -კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გია ბერაია პიროვნულად მტკიცე, შეუვალი და პრინციპული პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის თავდაჯერებული და გამოირჩევა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უნარით. საჯარო მოსმენისას კანდიდატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სასამართლო არის ერთი დიდი ოჯახი", საჭიროა ბრძოლა სასამართლო ავტორიტეტისთვის და ამისთვის მხოლოდ კანონიერი თუ სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება არაა საკმარისი. უმჯობესი იქნებოდა, სასამართლოს გუნდურობაზე მეტად, კანდიდატი აქცენტს ინდივიდუალური მოსამართლის როლზე აკეთებდეს.

გია ბერაია არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა -კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით გია ბერაია დინჯი, გაწონასწორებული და თავდაჭერილი პიროვნებაა. კოლეგები გამოარჩევენ მის ტაქტიან და კორექტულ ქცევას. ერთ-ერთი რეკომენდატორის თანახმად, გია ბერაია პატივისცემით ეპყრობა კოლეგებსა და სასამართლო აპარატის თანამშრომლებს. იგი კორექტულია შენიშვნის ან საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის დროს. გასაუბრებაზე გია ბერაია იყო კორექტული, თავაზიანი.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ გია ბერაიას მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გია ბერაია გამოირჩევა მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაციით კოლექტივში, იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით, გია ბერაიას მორალური და საქმიანი რეპუტაცია შეუბღალავია.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

გია ბერაია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რომელიც კეთლსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. გასაუბრების პროცესზე გია ბერაიამ ისაუბრა საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებებზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე, საპროცესო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებზე, კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შეკითხვებს კანდიდატმა ამომწურავად უპასუხა, რიგ შემთხვევებში შეკითხვებზე პასუხი იყო ზოგადი, არ იკვეთებოდა საკითხის კონკრეტული გადაწყვეტა შესაბამის სამართლებრივ ნორმებსა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მითითებით.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. ამასთან, საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ კანდიდატი ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებსა და სასამართლო პრაქტიკას.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გია ბერაიას აქვს სამართლებრივი დასაბუთებისა და არგუმენტაციის კარგი უნარი. ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით, მას შეუძლია მიიღოს თავისუფალი და პრაქტიკისგან განსხვავებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სამართლებრივ შეკითხვას კანდიდატმა სრული და ამომწურავი პასუხი გასცა, მისი მსჯელობა რიგ შემთხვევებში არ იყო დამაკმაყოფილებელი და ამომწურავი. მაგალითად, ბავშვის ძალადობისაგან დაცვის უფლებასთან დაკავშირებით კანდიდატს არ უსაუბრია არც საერთაშორისო მექანიზმებზე და არც ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულ პრევენციულ და მსხვერპლი ბავშვის დაცვის საშუალებებზე, სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

გასათვალისწინებელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით, გია ბერაიას მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა სტაბილურობა შეადგენს 71.4%-ს.

წერის უნარი: გია ბერაიამ წარმოადგინა 1 სასამართლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ გია ბერაია აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტს არ ტვირთავს არამიზნობრივი და შაბლონური მსჯელობით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი ობიექტურად აანალიზებს ფაქტობრივ მოცემულობას და წერილობით ნათლად გადმოსცემს აზრს. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების გარდა კანდიდატს არ წარმოუდგენია სხვა სახის სამართლებრივი ნაშრომი (სტატია, მონოგრაფია), რაც მომცემდა შესაძლებლობას უკეთ შემეფასებინა სამართლის წყაროებთან კანდიდატის მუშაობის კულტურა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატი საუბრობს გაწონასწორებულად და მშვიდად, თუმცა მეტნაკლები სიცხადით აყალიბებს და გადმოსცემს აზრს. რეკომენდატორების შეფასებით, კანდიდატს შეუძლია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენა. ასევე, იგი გამოხატავს ინტერესსა და მზაობას განსხვავებული მოსაზრების მოსასმენად.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები გია ბერიას ახასიათებენ პუნქტუალურ და შრომისმოყვარე პიროვნებად, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების და სტრესული სიტუაციების მართვის უნარი. კოლეგების შეფასებით, გია ბერაია არის მიზანდასახული და ფლობს მენეჯერულ თვისებებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (1042 დღე) დასრულებული აქვს 1546 საქმე, დღეში საშუალოდ 1.5 საქმემდე. გია ბერაიას მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 99.8%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 98.9%-ს აღწევს. აღნიშნული მაჩვენებლები მეტყველებს კანდიდატის პუნქტუალურობაზე, შრომისმოყვარეობასა და ორგანიზებულობაზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 4 სასწავლო ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები პედაგოგიკისა და

ფსიქოლოგიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების ჩამოყალიბების შესახებ და სხვ.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი ამჟამად არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. გია ბერაია, 2010-2011 წლებში, კითხულობდა ლექციას ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. გია ბერაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 83 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 17 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 17 ქულა;
   2.3.წერის უნარი - 17 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;
   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 3 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 2 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021